ხელშეკრულება

ქ.თბილისი 10.11.2014 წ.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები: ერთის მხრივ შპს ,,თამთა“ მისი დირექტორის შალვა ჯულუხაძის ,,გამქირავებლის“ სახით და მეორეს მხრივ შპს ,,გუდლაიქი„ დირექტორი თინათინ ხვედელიძის „დამქირავებლის“ სახით შევთანხმდით შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი:

გამქირავებელი გასცემს ქირით მის საკუთრებაში არსებულ 142 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე 60 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.18.09.003.001) მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N81, შენობა-ნაგებობა N1, პირველი სართული, ფართი N1, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობისთვის.

2 ანგარიშსწორების წესი:

1. დამქირავებელი ყოველი თვის 3 რიცხვამდე, დაქირავებული ფართის გამოყენებისთვის იხდის 3000 (სამიათასი) ლარს ყოველთვიურად.
2. გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, ინფლაციის შემთხვევაში მხარეთა მიერ გათვალისწინებული იქნება მისი კოეფიციენტი, რაზედაც გაფორმდება დამატებითი შეთანხმება.
3. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე დამქირავებელს 2014 წლის 10 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე დამქირავებლის მიერ დაქირავებულ ფართში რემონტის ჩატარების მიზნით განესაზღვრა იჯარის გადახდისგან თავისუფალი პერიოდი. 2014 წლის 1 დეკემბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მიეცა შეღავათი და განესაზღვრა 2500 (ორიათას ხუთასი) ლარის გადახდა.
4. იჯარის თანხა მხარეთა მიერ შეთანხმების თანახმად შეიძლება გადახედილი იქნას არაუადრეს ხელშეკრულების ვადის მესამე წლის ამოწურვისა.

3 დამქირავებლის ვალდებულებანი:

1. არ მიაყენოს ზიანი ტერიტორიის სანიტარულ და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობას, უზრუნველყოს ობიექტზე უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა.
2. დამქირავებელი ვალდებულია გაათავისუფლოს დაკავებული ფართი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
3. დამქირავებელს უფლება არ აქვს გასცეს, გააქირაოს ან უფლებრივად დატვირთოს ობიექტი მესამე პირის სასარგებლოდ, გამქირავებლის თანხმობის გარეშე.
4. დამქირავებელი ქონებრივად აგებს პასუხს გამქირავებლის ქონებაზე მიყენებული ზიანისთვის.
5. დამქირავებელი ვალდებულია გადაიხადოს ყველა სახის კომუნალური გადასახადი მის სათავსოზე განპიროვნებული მრიცხველების შესაბამისად.

4 გამქირავებლის ვალდებულებანი:

1. გამქირავებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს დამქირავებელს კომერიცული საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
2. გამქირავებელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამქირავებელს შეთანხმებული ქირის გადახდა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დამქირავებელმა ქირის გადახდა დააგვიანა 10 დღის განმავლობაში დაატოვებინოს დაკავებული ტერიტორია, გაქირავებული ფართი გაანთავისუფლოს დამქირავებლის საქონლისაგან და მის შემდგომ შენახვაზე მოიხსნას პასუხისმგებლობა.
3. დამქირავებლის თანხმობით დამქირავებელს უფლება აქვს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან განახორციელოს ობიექტის რემონტი - შენობის ფასადის ცვლილება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნულ რემონტზე გაწეულ თანხებს არ აანაზღაურებს გამქირავებელი.

5 ფორს-მაჟორი:

1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შემთხვევაში, როგორიცაა მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, სამხედრო ან სხვა საომარი მოქმედებანი, ასევე მთავრობის ან სხვა სახელმწიფო ორგანიზაციის ქმედება, რომლის შესახებ მხარეები არ იყვნენ ინფორმირებული ხელშეკრულების გაფორმების დროს.

6 ხელშეკრულება მოქმედებს 2019 წლის 10 ნოემბრამდე

7 ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 10 ნოემბრიდან.

გამქირავებელი	დამქირავებელი
შპს ,,თამთა“	შპს „გუდლაიქი“
ს/ნ 204381793	ს/ნ 405062578
ქ. თბილისი	ქ.თბილისი
გორგასალის 79-81	მიროტაძის 1-ლი, ბინა №13